საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 454 2021 წლის 25 მარტი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის №273 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის №273 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოქალაქე მაია გომურისა (პ/ნ: 16001029282) და მოქალაქე გიორგი სულაშვილისათვის (პ/ნ: 01027040982) შეუფერხებელი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად, სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული მათი და მათი თანმხლები პირების არასამედიცინო

ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამოუყოს 58 000 (ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**